პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ა.ქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 22 მარტი, 1944 წ. № 60 (7004). ფასი 20 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქრის ჭარხლის თესვის წინ

მოახლოვდა შაქრის ჭარხლის თესვის მასობრივად დაწყების დრო. 1944 წელს უნდა მოვიყვანოთ შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავალი. დიდი სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეგლეხობა დაუღალავად მუშაობს, რათა სულ უფრო და უფრო მეტი პროდუქტი მისცეს ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას. შარშან საქართველოს კოლმეურნეებმა ყველა კულტურის კარგი მოსავალი მიიღეს. გამონაკლისს მხოლოდ შაქრის ჭარხალი წარმოადგენდა.

საკავშირო მთავრობა და პირადად დიდი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ეს გვავალებს დავძაბოთ მთელი ძალები, რათა წელს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგთან ერთად ჭარხლის მოსავლიანობის ყოველმხრივ გადიდებას.

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის შემცირება იმით აიხსნება, რომ მეჭარხლეობის რაიონების საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შეანელეს ყურადღება შაქრის ჭარხლისადმი და მას ისეთივე მზრუნველობით არ ეკიდებიან, როგორც სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. წელს ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების ძლავრი პირობაა თესვის დროულად, ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად ჩატარება. მოწინავე კოლმეურნეობები კარგად მომზადებული შეხვდნენ შაქრის ჭარხლის თესვას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა და მტს-ი ჯერ კიდევ არ არის მზად. აგარის მტს-ში აგვიანებენ სათესი ინვენტარის შეკეთებას. შინდისის მტს-ში 5 სათესი მანქანიდან არცერთი არ არის შეკეთებული. რუისის მტს-ში ორი კომბინირებული სათესი ჯერ კიდევ შეუკეთებელია. ნუ თუ ის ამ მტს-ების ხელმძღვანელ მუშაკებს ნორმალურ მოგომარეობად მიაჩნიათ?

მოსავლიანობის გადიდების საშუალებანი — თესვისწინა ნიადაგის დამუშავება, თესვა, ჭარხლის დამუშავება, მორწყვა, დამატებითი კვება, მავნებლებთან ბრძოლა უნდა ჩავატაროთ დროულად და ხარისხის მტკიცედ დაცვით. შარშან გორისა და ასპის რაიონებმა 10 დღის დაგვიანებით დამთავრეს თესვა. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ბორჩალოს რაიონებმა კი — 15 დღით. აუცილებელია თესვა ჩავატაროთ უმოკლეს ვადებში. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ცალკეულმა კოლმეურნეობებმა ჭარხლის თესვა უნდა დაამთავრონ 6-7 დღეში. ეს წესი მტკიცედ უნდა დავიცვათ.

კარგი თესლი ბარაქიანი მოსავლის საწინდარია. თესვის ნორმების დაცვასთან ერთად, საჭიროა ვითესოთ სათანადო აღმოცენების უნარის მქონე თესლი. აგარის შაქრის ქარხანა და მისი ხელმძღვანელი მუშაკები ვალდებული არიან დროულად შეზიდონ მეჭარხლეობის რაიონებში თესლის საჭირო რაოდენობა. შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალი იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ თანმიმდევრულად განვახორციელებთ აგროტექნიკური ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, არ დავუშვებთ გარღვევას თესვასა და ჭარხლის ნათესების დამუშავებას შორის.

20 მარტს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შემდგარმა თათბირმა განიხილა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი. თათბირზე მეჭარხლეობის რაიონების მოწინავე ადამიანებმა წამოაყენეს წინადადება სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ 1944 წელს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მისაღებად. კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა ამხ. ბეგიაშვილმა იკისრა წელს 1 ჰექტარზე მიიღოს 1.200 ცენტნერი ჭარხალი. იმავე რაიონის სოფელ იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მარო ჩადუნელმა თათბირზე განაცხადა, რომ 19 ჰექტარი ფართობიდან მიიღებს 300 ცენტნერ ჭარხალს ოითოეულ ჰექტარზე, ხოლო ერთ ჰექტარზე, რომელსაც ბვითონ მოუვლის — 1.000 ცენტნერს. ქარელის რაიონის სოფელ ქვემოხვედურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მაკრახიძემ იკისრა კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე 500 ცენტნერი. ეს შესანიშნავი თაოსნობა ყოველმხრივ მისასალმებელია. კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი ჩვენი წითელი არმიის ახალი გამარჯვებებით, არ იშურებენ ძალებს, რომ გაძლიერონ დახმარება ფრონტისადმი. სოფლის პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნე მასების პატრიოტულ აღფრთოვანებას და უზრუნველჰყონ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად.

მნიშვნელოვან პირობას მოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოადგენს შრომის სწორი ორგანიზაცია მეჭარხლეობის კოლმეურნეობებში. სწარმოო ბრიგადებისა და რგოლების სწორად დაკომპლექტებას ამთავითვე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, საჭიროა ვიზრუნოთ ამ ბრიგადებისა და რგოლების მუდმივობაზე, არ დავუშვათ მათი ცვალებადობა.

მივცეთ მეტი შაქარი ჩვენს ქვეყანასა და გმირ წითელ არმიას, რომელიც დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით განმანადგურებელ დარტყმებს აგებს ვირაგ მტერს — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს სწმენდს ჰიტლერული სიბილწისაგან.

ცნობა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შესახებ

1 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა დროებითი ზავის საბჭოთა პირობები, გადაცემული საბჭოთა მთავრობის მიერ ფინეთისათვის.

8 მარტს სტოკჰოლმში მყოფმა საბჭოთა მისიამ მიიღო ფინეთის მთავრობის პასუხი. ამ პასუხიდან გამომდინარეობდა, რომ ფინეთის მთავრობას უძნელდება მიიღოს დროებითი ზავის საბჭოთა პირობები წინასწარი დისკუსიის გაუმართავად.

10 მარტს საბჭოთა მთავრობამ აცნობა ფინეთის მთავრობას, რომ საბჭოთა მთავრობას ფინეთის პასუხი არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია. ამასთან საბჭოთა მთავრობამ ფინეთის მთავრობის ყურადღება მიაქცია იმას, რომ დროებითი ზავის საბჭოთა პირობები ექვსი პუნქტის სახით, გადაცემული ბ-ნ პაასიკივისათვის, მინიმალური და ელემენტარულია და რომ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, თუ ფინეთის მთავრობა ამ პირობებს მიიღებს. საბჭოთა მთავრობამ აცნობა აგრეთვე, რომ იგი ფინეთის მთავრობის პასუხს დაელოდება 18 მარტამდე.

17 მარტს ფინეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო უარყოფითი პასუხი გასცა და ამით ოკისრა მთელი პასუხისმგებლობა შედეგებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო.

უკანასკნელი ცნობები

უნგრეთის ამბების გამო

ლონდონი, 21 მარტი (საკადესი). რეიტერის საგენტო სტოკჰოლმიდან გადმოგვცემს: „სტოკჰოლმში მყოფი უნგრელთა წრეები დასტურებენ უფრო ადრე გადაცემულ ცნობებს იმის შესახებ, რომ უნგრეთის რეგენტი — ადმირალი ჰორტი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი და მთავარსარდალი გერმანელთა „ტყვეებნ“ ალმოჩნდნენ. როგორც იუწყებიან, ფრანგებში, უნგრეთში პანგერმანული მოძრაობის ლიდერი, სარდლობს უნგრეთის ნაციონალისტების ქვეგანაყოფებს.

გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ბერლინელ კორესპონდენტის ცნობის თანახმად, უნგრეთში გერმანელები შეიჭრნენ მას შემდეგ, რაც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა კალაიმ უარჰყო მოთხოვნები, რომლებიც გასულ კვირას გადასცა მას გერმანიის ბუდაპეშტელმა დესპანმა მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობდა: უნგრეთმა უნდა ჩაატაროს ტოტალური მობილიზაცია; გაჰგზავნოს საოკუპაციო ჯარები ოვოსლავიაში, გაჰგზავნოს უნგრელი მუშები გერმანიაში და გაადიდოს აურსათისა და პენიცილინის ექსპორტი გერმანიაში.

კალაიმ მთლიანად უარჰყო ეს მოთხოვნები, და 16 მარტს გერმანიის დესპანმა განუცხადა მას, რომ რუსეთის შემოტევის საფრთხე მოითხოვს უნგრეთის ტერიტორიის დაცვას, და რამდენადაც უნგრეთის ჯარებს თვითონ ამ შეუძლიათ ეს გააკეთონ, გერმანელთა ნაწილებმა უნდა მოახდინონ უნგრეთის სტრატეგიული პუნქტების ოკუპაციაო დესპანმა მოსთხოვა ჰორტის გაემგზავროს ჰიტლერის ბანაკში მდგომარეობის განსახილველად ძალიან იმის თქმა, დათანხმდა თუ არა ჰორტი გერმანიის მოთხოვნებზე, თუ ჰიტლერმა აიძულა იგი მიეღო ეს მოთხოვნები. გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ბერლინელ კორესპონდენტის მიერ ბუდაპეშტიდან მოლებული ცნობით, უნგრეთის ოკუპაციისათვის დღემდე გამოყენებულია გერმანელთა 6 დივიზია.

გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ ბერლინელ კორესპონდენტის ცნობით, ვერმანელი ნაციონალისტების აჯანყება უნგრეთში მოხდა მას შემდეგ, რაც ჰორტი ჰიტლერის ბანაკში გაემგზავრა. იმრიდამ შეადგინა „კვისლინგური“ მთავრობა და სთხოვა გერმანელებს შემოეყვანათ ჯარები უნგრეთში. გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ მიერ მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ რუმინელთა ორი დივიზია ეხმარება გერმანელებს უნგრეთის ოკუპაციაში. გერმანელთა ჯარები უნგრეთში შეიჭრნენ სატრიიდან და რუმინეთიდან. ამ ცნობის თანახმად, უნგრეთის ბევრ რაიონში ბრძოლები სწარმოებს. არსებული ცნობებით, მეხუთე კოლონის აგენტებმა ხელში ჩაიგდეს რადიოსადგური. როგორც სტოკჰოლმში მყოფი უნგრელთა წრეები იუწყებიან, 4 ათასამდე „სს-“ელი თავმოყრილია ავსტრიაში უნგრეთის საზღვარზე. მაგრამ უნგრეთის სარდლობა ფიქრობს, ისინი იქ მხოლოდ იმისათვის არიან თავმოყრილნი, რომ გავლენა მოახდინონ უნგრელებთან მოლაპარაკების დროს და აიძულონ ეს უკანასკნელნი უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ომშიო.

აქაური უნგრელთა წრეები აცხადებენ: ჰიტლერის ბანაკში ჰორტის გამგზავრებამდე გერმანელების მიერ უნგრეთის მთავრობისათვის წარდგენილი გეგმები შეიცავდნენ მოთხოვნას, რომ უნგრელთა დიდი ნაწილები აღმოსავლეთის ფრონტზე ყოფილიყვნენ გაგზავნილნი. ამაზე უნგრელებმა უპასუხეს, ჩვენი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ღონისძიებანი კარპატის უკრაინის საზღვრების დაცვით შეეზღუდოთო. მეორე მოთხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ უნგრეთი ევროპის ახალი სავაჭრო გაერთიანების წევრი გაუხდარიყო და არ დაედო დამოუკიდებელი სავაჭრო შეთანხმებანი რომელიმე სხვა ქვეყანასთან და რომ მთელი მისი პროდუქცია ბერლინის საშალებით ყოფილიყო განაწილებული. ეს მოთხოვნაც უარყოფილ იქნა“.

ლონდონი, 21 მარტი (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო სტოკჰოლმიდან ავადმოგვცემს, დაუდასტურებელი ცნობის თანახმად, რაც გამოქვეყნებულია გაზეთ „ნიოა დაგლიგტ ალეჰანდაში“, უნგრეთის გერმანელი უმკრეესობის ხელმძღვანელმა ბაშმა დაიკავა უნგრეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი.

მოვიყვანოთ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი

თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე

20 მარტს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შესდგა თათბირი შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისა საკითხებზე. თათბირი დაესწრნენ მეჭარხლეობის რაიონების საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტების მდივნები, მშრომელთა დეპუტატების რაიონების აღმასკომების თავმჯდომარეები, მტს-ების დირექტორები, ზოგიერთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მეჭარხლე სტახანოველი კოლმეურნეები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **კ. ჩარკვიანმა, ვ. ბაქრაძემ, გ. სტურუამ, მ. ჯაშმა, ვ. ბუჯიაშვილმა, ა. თოფურიძემ, ა. რაფავამ, ი. კოპლამაზაშვილმა, კ. ბარიგიანმა** და სხვ.

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **მ. ბარამიამ.**

თათბირმა მოისმინა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. **ს. ხოშტარიას** მოხსენება „შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

დიდი სამამულო ომის დღეებში, — ამბობს ამხ. ხოშტარია, — საქართველოს კოლმეურნე გლეხობა და სოფლის მეურნეობის მუშაკები დაუღალავად მუშაობენ, ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს აწოდებენ სულ უფრო და უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს. სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მიცემულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის 525 მუშაკი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ჩვენი კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები ამ მაღალი შეფასების პასუხად კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს და ენერგიულად იბრძვიან, რომ წელს მიიღონ უხვი სამხედრო მოსავალი — გამარჯვების მოსავალი. ჩვენს წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა სოციალისტურ მრეწველობას მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ნედლეული, კერძოდ კი შაქრის ჭარხალი. საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგი უკანასკნელ წლებში აღმავლობას განიცდის. მაგრამ ეს არ ითქმის შაქრის ჭარხალზე. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შაქრის ჭარხლის მცირე მოსავალს ვიღებდით. ამხ. ხოშტარია ლაპარაკობს იმ მიზეზებზე, რომლებმაც ჭარხლის მოსავლიანობის შემცირება გამოიწვია.

ეხება რა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ამხ. ხოშტარია აღნიშნავს, რომ ჭარხლის დათესვა მზრალად ხნულზე, ნიადაგის დაფარცხვა, პირველი გაფხვიერების, გამოხშირვის, ჭარხლის შემოწმების, მწკრივთა შორის გაფხვიერების, დამატებითი კვების, მორწყვის, მავნებლებთან ბრძოლის თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარება — ასეთია შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღების გზა.

მომხსენებელი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას შაქრის ჭარხლის ძირთა სიხშირის შენარჩუნებაზე და ამბობს, რომ გასულ წლებში ჩვენი მთავარი ნაკლი მეჭარხლეობაში და მცირე მოსავლიანობის მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ვერ უზრუნველვყავით ჰექტარზე 100.000 ძირის შენარჩუნება. შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის ოსტატები ამხ. ჩადუნელი, ნოზაძე, მაჭარაშვილი, ბეგიაშვილი და მრავალი სხვა ჰექტარზე წინათ 300-დან 800 ცენტნერს იღებდნენ. მეჭარხლე სტახანოველები ამ წარმატებას უპირველეს ყოვლისა იმით აღწევდნენ, რომ ძირთა სიხშირეს იცავდნენ. საჭიროა დავაწესოთ ზუსტი მეთვალყურეობა ჭარხლის თესლის აღმოცენებაზე, რომ შემდგომში გაფხვიერებისა და გამოხშირვის ჩატარებისას შესაძლებლობა გვქონდეს ჰექტარზე შევინარჩუნოთ 100-110 ათასი ძირი. ჭარხლის დროზე გამოხშირვა სწორ თესვასთან ერთად სწყვეტს ძირთა რაოდენობის შენარჩუნების საკითხს. შაქრის ჭარხალი წყლის მოყვარული კულტურაა. სტახანოველები მორწყვას ჯდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ჭარხლის ნათესების წყლის მიგდებით მორწყვა. ჭარხალი უნდა მოვრწყათ მხოლოდდამხოლოდ კვლებში გაყონვის წესით. შარშან ბევრმა კოლმეურნეობამ ჭარხალი მზრალად ხნულზე არ დასთესა. წელს აღარ უნდა დავუშვათ ასეთი დაუდევრობა. ჭარხალი აუცილებლად მზრალად ხნულზე უნდა დავთესოთ. ამხ. ხოშტარია ეხება თესვის ნორმების გადიდების საკითხს და ამბობს, რომ ყველგან უნდა დასთესონ ლაბორატორიულად შემოწმებული სათანადო აღმოცენების უნარის მქონე თესლი. ამხ. ხოშტარია ჩერდება სათესი მანქანების და ინვენტარის სრულ წესრიგში მოყვანის საჭიროებაზე.

ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების აუცილებელი პირობაა შრომის სწორი ორგანიზაცია. შაქრის ჭარხლის დაბალი მოსავლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, აცხადებს ამხ. ხოშტარია, რომ ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობებში შარშან სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა შრომის მოწესრიგებას. მაგალითად, გორის რაიონის 6 ძმამოწმებულ კოლმეურნეობიდან მხოლოდ ერთში — ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში იყო ჩამოყალიბებული რგოლები. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდადაა დაყენებული მუშაობის ინდივიდუალური სანაცვლო სისტემა, არაა მოწესრიგებული აღრიცხვის საქმე. ამის შედეგად კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესი არ ხორციელდება. მეჭარხლეობის კოლმეურნეობებში შრომა სანიმუშოდ უნდა მოვაწყოთ. ჭარხლის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ბრიგადებისა და რგოლების დროულად და სწორად შექმნას, მის მუდმივობას, შრომის დამატებითი ანაზღაურების წესს ფართოდ გამოყენებას.

შაქრის მთესველ კოლმეურნეებს განსაზღვრული რაოდენობით ეძლევათ შაქარი და ფულადი პრემია-დანამატიც. დაბალი მოსავლის მიღებისას კოლმეურნეობა მოკლებულია მიიღოს ფულადი პრემია-დანამატი, შაქარს კი ყოველ შემთხვევაში იღებს. მაგრამ ზოგან კოლმეურნეობებში შაქრის განაწილების საქმეში დანაშაულს ვხვდებით. უნდა დავაწესოთ მტკიცე კონტროლი, რათა მიღებული შაქარი დროულად და მხოლოდდამხოლოდ კოლმეურნეთა შორის განაწილდეს.

დასასრულ ამხ. ხოშტარია აცხადება, რომ კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი ჩვენი გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით, თავიანთ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა 1944 წელს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღონ. ამას მოითხოვს სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები.

კასპის რაიონის იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **მარო ჩადუნელმა** თათბირს მოუთხრო იმაზე, თუ რა გზით, რა ღონისძიებათა გატარებით მოჰყავდა მას შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი. მან თქვა: — ჭარხალს ვთესავდი მზრალად ხნულზე, თესვის წინ ვფარცხავდით, კარგად ვაპატივებდით, მოწყობილი გვქონდა ნაკელ-საცავები და ორმოები ნაკელის წვენის შესაგროვებლად. ნაკელის წვენს ვიყენებდით შაქრის ჭარხლის დამატებითი კვებისათვის. ჩემის აზრით მეჭარხლე კოლმეურნეებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივი სასუქების შეგროვებას და ჭარხლის ნათესებში გატანას. მაღალი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს ძირთა რაოდენობის შენარჩუნებას. ამას იმით ვაღწევდი, რომ პირველი გაფხვიერების შემდეგ დროულად და აგროწესების დაცვით ვაწარმოებდი გამოხშირვას. წელს ჩვენი კოლმეურნეობა შაქრის ჭარხალს 20 ჰექტარზე სთესავს. მე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვმუშაობ, მაგრამ ისე მოვაწყობ საქმეს, რომ პირადად დავამუშავო ერთი ჰექტარი.

სიტყვას ვაძლევ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ ამ ერთ ჰექტარზე წელს მივიღო 1.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო დანარჩენი 19 ჰექტარიდან საშუალოდ მივიღო ჰექტარზე 300 ცენტნერი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ გორის რაიონის კოლმეურნეებს.

ამხ. **აბალაკი** (გორის მტს-ის დირექტორი) ამბობს, რომ შარშან შაქრის ჭარხლის დაბალი მოსავლიანობის ერთადერთი სერიოზული მიზეზი ისიც იყო, რომ ჭარხალი მზრალად ხნულზე არ დათესილა. წელს ეს ნაკლი გამოსწორდება. დიდ ყურადღებას მივაქცევთ ჭარხლის მექანიზებულად დამუშავებას, კერძოდ კი ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ ჭარხლის სათესმა მანქანებმა დაუბრკოლებლად იმუშაონ.

— 400 ტონა გადამწვარი ნაკელი უკვე გავიტანეთ მინდვრად,— ამბობს აშურის რაიონის სოფელ ალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ვეარამაძე**, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. უფრო მეტი მუშაობა დაგვჭირდება, რომ ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოვიყენოთ ადგილობრივი სასუქი. საჭიროა თესვა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ, დავიცვათ შაქრის ჭარხლის მოვლის ყველა პირობა. მთელ სამუშაოებს, დაწყებული დაფარცხვიდან და დამთავრებული მოსავლის აღებით, ჩავატარებთ დადგენილ ვადებში. შაქრის ჭარხალი სათუთი კულტურაა, და ის გულმოდგინე მოვლას მოითხოვს. ჩვენ გაგროვებთ ადგილობრივ სასუქებს და შემდგომშიც განვაგრძობთ მას ამთავითვე ვემზადებით შაქრის ჭარხლის დამატებითი კვებისათვის. ჭარხლის ძირთა სიხშირე უსათუოდ სწყვეტს. ბარაქიანი მოსავლის მიღების საკითხს. მთელ მუშაობას ისე წარვმართავთ, რომ ჰექტარზე უზრუნველვყოთ 100-110 ათასი ძირის შენარჩუნება.

ხაშურის რაიონის სოფელ ქინძათის კოლმეურნეობის რგოლს ხელმძღვანელი ამხ. **ანა ქიტიაშვილი** იწონებს ჭარხლის თესვის ნორმების გადიდებას. საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ჭარხლის წესიერ გამოხშირვას, მის შემდგომ დამუშავებას და სარეველა ბალახებისაგან ჭარხლის ნათესების გაწმენდას. ვალდებულებას ვკისრულობ ჰექტარზე საშუალოდ მივიღო 400 ცენტნერი ჭარხალი.

ქვემოხვედურეთის (ქარელის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **მაკრახიძე** სიტყვას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 300 ცენტნერ ჭარხალს, ხოლო მეჭარხლეობის ცალკეული რგოლები ჰექტარზე საშუალოდ 500 ცენტნერ ჭარხალს მიიღებენ. ამხ. მაკრახიძე სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს კასპის რაიონის სოფელ იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ჩადუნელს.

— პირობას ვაძლევ თათბირს, — განაცხადა გორის რაიონის სოფელ ქახვრელის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **დარიკო ნადირაშვილმა**, — წელს ჰექტარზე მივიღო 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამ ვალდებულების შესრულებას რა თქმა უნდა დიდი შრომა დაჭირდება. ნიადაგი უკვე მომზადებული მაქვს. მოხვნასთან ერთად ნიადაგში შევიტანე გადამწვარი ნაკელი. მოვრწყავ ნაკვეთებს კვლებში გაყონვით. ცნობილია, რომ დაგვიანებით დათესილი თესლი გვიან დვივდება, გვიან ამოდის და ეს იმით არის ცუდი, რომ ჭარხლის სხვადასხვა სამუშაოები ერომანეთს ემთხვევა. ამიტომ ჩვენი ბრიგადა არ დაუშვებს თესვის გაჭიანურებას. ჩვენ უკვე ყველა საჭირო ინვენტარი მომზადებული გვაქვს, რომ ჭარხლის დამუშავება კარგად მოვაწყოთ.

გამოხშირვასთან ერთად მიწას გავაფხვიერებთ, შემდეგ მცენარეთა სიხშირეს შევამოწმებთ. მთელი ზაფხულის განმავლობაში ჭარხლის ნათესს ვიქონიებთ გაფხვიერებულ და სუფთა მდგომარეობაში. ჩვენში უმთავრესად ჭარხლის მავნებელი ხვატარია გავრცელებული. მას წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ უკვე მზადა ვართ. შურჩეული გვყავს სიგნალიზატორები, რომლებიც მავნებლის გამოჩენისთანავე გვაცნობებენ და საჭირო ზომებსაც მივიღებთ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მდივანმა ამხ. **კოჩლაძემ** ილაპარაკა იმაზე, რომ ბორჩალოს რაიონში შაქრის ჭარხალი კარგად ხარობს, მაგრამ **რაიონმა შარშან** ყველა შესაძლებლობა ვერ **გამოიყენა**, სათანადოდ არ ექცეოდა **ყურადღება ჭარხლის მოვლას, რის გამო** მთელმა **ბიგადა** კოლმეურნეობებმა დაბალი მოსავალი მიიღეს. ამხ. კოჩლაძე აღნიშნავს, რომ წელს რაიონი წარმატებით ემზადება ჭარხლის თესვისათვის, ფხრალად ხვნა ჩატარებულია. შერჩეულია კარგი თესლი. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ქრისტესიაშვილი** პირობას იძლევა, რომ ამ კოლმეურნეობაში წელს ერთიორად გაადიდებენ ჭარხლის მოსავალს მიცემულ გეგმასთან შედარებით და ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერ ჭარხალს მიიღებენ.

საქართველოს სსრ მიწსახკომის აგრონომი ამხ. **ი. მიქაძე** ეხება ზოგიერთი მტს-ის გასული წლის მუშაობის უარყოფით მხარეებს და ამბობს, რომ ცალკეული მტს-ები საკმაოდ არ იყენებდნენ სათეს მანქანებს. საჭიროა მტს-ებმა ამთავითვე სრულ წესრიგში მოიყვანონ ჭარხლის სათესები.

საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. **ქველაძე** ამბობს, რომ შარშან კასპისა და რუისის მტს-ები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ საჭარხლე ნაკვეთებისათვის ნიადაგის დამუშავების ხარისხს. წელს რაიონში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის. 103 რგოლის ხელმძღვანელმა იკისრა ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 300-დან 800 ცენტნერამდე ჭარხალი. ამხ. ქველაძე აცხადებს, რომ წელს რაიონში ჰექტარზე საშუალოდ 250 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მიიღებენ.

— წელს შაქრის ჭარხლის დასათესად რაიონში კარგი ნაკვეთებია შერჩეული, მთელი საჭარხლე მიწა მზრალად არის მოხნული, — ამბობს გორის რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბუჯიაშვილი.** — სრული წესრიგშია მოყვანილი სარწყავი სისტემა. რაიონი ვალდებულებას კისრულობს ჰექტარზე საშუალოდ მიიყვანოს არანაკლებ 250 ცენტნერი შაქრის ჭარხლისა.

კასპის რაიონის ლამისყანის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი ამხ. **ბეგიაშვილი** მოუთხრობს თათბირს, თუ როგორ მიიღო მან გასულ წლებში ჭარხლის მაღალი მოსავალი. ამას უმთავრესად იმით მივაღწიე, — ამბობს ამხ. ბეგიაშვილი, — რომ ჰექტარზე 100.000 ძირი შევინარჩუნე. წელს ჩემზე მომაგრებულია ერთი ჰექტარი საჭარხლე ნაკვეთი. ნიადაგი მზრალად არის მოხნული, შეტანილი მაქვს 50 ტონა გადამწვარი ნაკელი. თესვას ჩავატარებ მოკლე ვადებში. დროულად და კარგად ჩავატარებ შემდგომ დამუშავებას, კერძოდ, პირველ გაფხვიერებას, გამოხშირვას, შეგროვებას. ვალდებულებას ვკისრულობ ჰექტარზე საშუალოდ მივიღო 400 ცენტნერი ჭარხალი.

ქვემოხვედურეთის (ქარელის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **მაკრახიძე** სიტყვას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 300 ცენტნერ ჭარხალს, ხოლო მეჭარხლეობის ცალკეული რგოლები ჰექტარზე საშუალოდ 500 ცენტნერ ჭარხალს მიიღებენ. ამხ. მაკრახიძე სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს კასპის რაიონის სოფელ იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ჩადუნელს.

— პირობას ვაძლევ თათბირს, — განაცხადა გორის რაიონის სოფელ ქახვრელის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **დარიკო ნადირაშვილმა**, — წელს ჰექტარზე მივიღო 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამ ვალდებულების შესრულებას რა თქმა უნდა დიდი შრომა დაჭირდება. ნიადაგი უკვე მომზადებული მაქვს. მოხვნასთან ერთად ნიადაგში შევიტანე გადამწვარი ნაკელი. მოვრწყავ ნაკვეთებს კვლებში გაყონვით. ცნობილია, რომ დაგვიანებით დათესილი თესლი გვიან დვივდება, გვიან ამოდის და ეს იმით არის ცუდი, რომ ჭარხლის სხვადასხვა სამუშაოები ერომანეთს ემთხვევა. ამიტომ ჩვენი ბრიგადა არ დაუშვებს თესვის გაჭიანურებას. ჩვენ უკვე ყველა საჭირო ინვენტარი მომზადებული გვაქვს

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 მარტის ოპერაციული ცნობა

21 მარტის განმავლობაში ქალაქ დუბნოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები გააგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი ვერბა, ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრი პოდკამენი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები: სტოლბეცი, ბრადა, ბუჩინა, სუხოპოლია, ნაჩვაშა, ნემიაჩი, ლოპუშნა.

ქალაქ ვინიცის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები: სუსლოვცი, ბაბრინოვცი, ბოკრეიცი, ციკულინცი, დაშკოვცი, იუზვინი, მედვედეი უშკო, ფიროკაია ბრეგლია, ბრაილოვი, კოროსტოკუცი, სტეპანკი, კუდიეფცი, ნოსკივცი და რკინიგზის სადგურები ბრაილოვი, ბალეიკოვო.

ქალაქ ჟმერინკის სამხრეთით ჩვენი ჯარები ავითარებდნენ შეტევას და დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები—ქალაქი შარგოროდი, კოპაიგოროდი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—პასინკი, ბოვჩანი, კლებანოვკა, სნიტკოვი, ვისში ოლენჩოდაევი, ლუჩინეცი, ლაზოვა, ტროპოვო, სუბაკი, ვენდიჩანი, ლოგოზოვი და რკინიგზის სადგურები კოტიუშანი, ნემეარჩი, ვენდიჩანი, იზრაილევკა, სულიატიცკაია.

ქალაქ ბოგილიოვ-პოდოლსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს ბრძოლებს დნესტრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმების გასაფართოებლად და დაიკავეს მოლდავეთის სსრ რაიონული ცენტრი ატაკი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—არკოლეშტი, ვისოკა, კოტოვა, ვინდიკი, დროკია, შურელი, კეტროსი, ზგურიცა და გადასვრეს ბელეცი—ჩერნოვიცის რკინიგზა.

ნოვო-უკრაინკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრები ბლაგოდატნოე, არგუზინკა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—სინიუხინი ბროდი, ნოვო-ალექსანდროვკა, ლისაია გორა, სოფიევკა, ნიკოლსკოე, ნოვო-კრასნოე, დიდიდოვკა, ივანოვკა, ალექსეევკა და რკინიგზის სადგურები სინიუხი, პოდგოროდნაია, ბანდურკა, ნოვო-კრასნოე, კავუნი.

ქალაქ ბობრინეცის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—ნოვოსელოვკა, ნიკოლაევკა, ზელიონი იარი, ტრიკრატი, ვოზნესენსკი, ვოროგოვკა.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

20 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 29 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 47 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ დუბნოს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მოწინააღმდეგემ თავისი საბრძოლო წყობილებანი გააძლიერა ეს-ეს არის დანიდან მოსული 361-ე ქვეითი დივიზიით და რამდენიმე კონტრიერიაში მოიტანა. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიაშები, წინ წაიწიეს და დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი ვერბა, აგრეთვე 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 900 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 9 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, ხელთ ვიგდეთ 24 ქვემეხი, 52 ტყვიამფრქვეევი, 2 საწყობი საომარ მასალიანად და საწყობი საინჟინრო ქონებიანად. მიუხედავად უგზოობისა, ჩვენმა მოძრავმა ნაწილებმა 30-კილომეტრიანი მარში „შეასრულეს, გავიდნენ ბროდი-ტარნოპოლის გზატკეცილზე და სწრაფი იერიშით დაიკავეს ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრი პოდკამენი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დაფა. ქალაქ კრემენიცის ქუჩებში, რომელიც ამ დღეებში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს, აღმოჩენილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 1.500 გვამი.

* * *

ქალაქ ჟმერინკის სამხრეთით 5 შრნაერთის ნაწილებმა დაიკავეს ყამირზების მნიშვნელოვანი კვანძი — ქალაქი შარგოროდი. სხვა ჩვენი შენაერთის მებრძოლებმა გასტეხეს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, დაიდევნენ მათ და დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრი კოპაიგოროდი. მოწინააღმდეგე უკან იხევს საბჭოთა ჯარების დარტყმებით, სტოვებს ქვემეხებს, აღტომობილებსა და სხვადასხვა სამხედრო ქონებას. 6 ნაწილის მებრძოლებმა პიტლერელები განდევნეს ერთი სოფლიდან და ხელთ იგდეს 17 ქვემეხი, მათ შორის 4 თვითმავალი ქვემეხი ამუშავებულ მოტორებიანად. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა იერიშზე მიიტანეს მოწინააღმდეგის ასეულზე. გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მათ იარაღი დაჰყარეს და ტყვედ დაგვნებდნენ.

* * *

ქალაქ ბოგილიოვ-პოდოლსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ დნესტრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმების გასაფართოებლად. საბჭოთა ნაწილებს, რომლებმაც ქალაქი ბოგილიოვ-პოდოლსკი დაიკავეს, ერთი წუთიც არ დაუკარგავთ, მდინარეზე გადავიდნენ და იერიშით დაიკავეს პოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონული ცენტრი ატაკი და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. ჩვენმა მებრძოლთა განაგითარეს წარმატება, გადალახეს გერმანელთა დნესტრის თავდაცვა და გადასვრეს ბელეცი-ჩერნოვიცის მნიშვნელოვანი რკინიგზის მაგისტრალი. მოწინააღმდეგის ცდები კონტრიერიშებით შეეჩერებინა ჩვენი ჯარების შეტევა, მარცხით დამთავრდა.

* * *

ქალაქ ბობრინეცის სამხრეთ-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მტერი ძლიერ ცეცხლითს წინააღმდეგობას გვიწევდა და არაერთგზის გადმოიყვანა კონტრიერიშზე ქვეითი ჯარი და ტანკების მცირე ჯგუფები. ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიშე მოგერიებული. ნ ნაწილის მებრძოლებმა ერთი დღის განმავლობაში ბრძოლებით გაიარეს 14-დან კილომეტრი და გაჭრეს 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წაართვეთ 200-ზე მეტი ავტომანქანა, 53 მოტოციკლი, 3 საწყობი სურსათიანად და საწყობი მარცვლეულიანად. წამოიყვანეთ ტყვეები. ერთი დასახლებული პუნქტისათვის გაცხარებულ ბრძოლაში უფროს სერჟანტ სოლიანინის გუნდმა შეამჩნია, რომ მის ქვეშეგს ფაბლოდგებოდა მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკი და ორი თვითმავალი ქვემეხი. პირდაპირი დამიზნებით მეშიზნე კუტიავინმა დაზიანა გერმანელთა ერთი ტანკი, შემდეგ კი თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი". გერმანელთა დანარჩენმა ტანკებმა სწრაფად დაიხიეს უკან.

* * *

ლვოვის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი მოწინააღმდეგის რიცხობრივად ჭარბ ძალებთან ბრძოლაში გარემოცვაში მოხვდა. საბჭოთა პატრიოტებმა მოაწყეს ორგვლივი თავდაცვა, ეძგერა საათის ბრძოლაში დაანიავეს გერმანელთა ორი ტანკი და ჯიპლიტეს 200-მდე ჰიტლერელი. ღამით პარტიზანებმა სწრაფი იერიშით გაარღვიეს გარემოცვის რკალი. პარტიზანთა რაზმმა ხელსაყრელი პოზიციები დაიკავა და კვლავ ურტყამს გერმანელებს.

* * *

როვნოს ოლქის სოფელ ნოვო-მიისკის მცხოვრებლებმა გვიამბეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მხეცობის შესახებ: „უოტანელი ტანჯვა და უმაგალითო აბუჩად აგდება განვიცადეთ ჩვენ ფაშისტთა ოკუპაციის განმავლობაში. ჰიტლერელი მტარვალები უტიფრად აცხადებდნენ, უკრაინელებს ჩვენ ადამიანებად არ ვთვლითო. ჩვენი სოფლის ოკუპაციის პირველსავე დღეებში გერმანელებმა ყოველგვარ ვანაკაცდელს გაუძღო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში".

ჩვენი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი ერთა ერთიანი მეგობრობისა და გულითადი ძმობის ციხეა. საბჭოთა ხალხები თავდადებითა და გმირულად იცავენ სოციალისტურ სამშობლოს პირსისხლიანი ფაშიზმისაგან.

მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლისა და სხვა ქალაქების სახელოვან გმირულ დაცვაში საბჭოთა კავშირის ძმა ერთა შვილებთან ერთად თავი გამოიჩინეს ქართველი ხალხის შვილებმა.

დიდი სტალინის თანამებრძოლის ამბანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის დაცვის საქმეში კავკასიონის ეროვნულ ტეხილებზე თავი ისახელეს სამხედრო შენაერთებმა, რომელთა შემადგენლობაშიც იბრძოდნენ უკრაინელი, ციმბირელი, შიდა რუსეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის და სხვა მოძმე ერთა შვილები.

უკრაინისა და ბელორუსიის სრული განთავისუფლებისათვის ღირსეულად იბრძვიან ყველა მოძმე ერთა შვილები, მათ შორის ქართველები.

„საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რადგან მათ ახლანდელი სამამული ომი საძართლიანად მიიჩნიეთ ყველა შრომელის საერთო საქმედ განურჩეველად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ახლა უკვე თვითონ ჰიტლერელი პოლიტიკოსები ხედავენ, რა უაღრესად სულელური იყო მათი ვარაუდები, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მოხდებოდა გათიშვა და შეჯახებანი. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ ომის ყველა სიძნელესა და განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო ფაშისტ დაპყრობთა წინააღმდეგ ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო ბრძოლაში".

ომი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების უდიდესი გამოცდაა. სამამული ომმა ყველაზე უფრო ცხადყო ჩვენი დიდი სოციალისტური საშინაო ბლის პოლიტიკური, ეკონომიური და მორალური ძლიერება.

სწორედ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი ძლიერებით აიხსნება ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობა ასე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის გარდაქმნებს ატარებს ამჟამად, ნოსანი ომის დროს, როცა ყველა ძალები ოაორესად დაძაბულია მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური არმიების ორგანიზაციის საკითხი ბოლოდნელი და ახალი არ არის. ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში დიდი ლენინი სწერდა ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს, რომ მას დაეჩქარებინა წითელი არმიის ქართული ნაწილების ორგანიზაცია, რაც მაღე განხორციელდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახლად შექმნილი ქართული წითელი არმია უზრუნველყოფილი არ იყო მეთაურთა კადრებით და პოლიტხელმძღვანელებით, ზოგიერთ სხვა ეროვნებრივ რესპუბლიკებს კი სამხედრო მეთაურთა კადრები სრულებით არ მოეპოვებოდა, მაგალითად, უზბეკეთს, თურქმენეთს, ტაჯიკეთს, ყირგიზეთს, თათრეთს და სხვ. მოძმე ხალხთა რესპუბლიკებსა და ცალკეულ ერებს, რომლებიც შეფის დროს სამხედრო საქმეში უფლებააყრილნი იყვნენ.

მრავალრიცხოვან და ძლიერი წითელი არმიის დაჩქარებით შედგენა კი აუცილებელი იყო. დაყოვნებას მდგომარეობა არ ითმენდა. სწორედ ამიტომ გადაავდიდთ საერთოსაკავშირო ჯარის ფორმირებაზე. ამ ზომამ უზრუნველყო წითელი არმიის ღირსეული ორგანიზება და ძლიერება.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა წითელმა არმიამ გმირულად დაიცვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პონანპოვარნი. მის რიგებში კიდევ უფრო დამეგობრდნენ და დაძმობილდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილები.

სწორედ ამით აიხსნება ის არნახული თავდადება და გმირობა, ის ყოველსმძლე შეტევა და ბრძოლა, რომლის მაგალითებიც წითელმა არმიამ გვიჩვენა სამამული ომში.

ქართველი ხალხი ყოველთვის გმირულად იბრძოდა თავდასხმელ მტერს. ჩვენი ხალხის ბევრი მამაცი შვილი თავდადებით იბრძოდა ნაპოლეონის ურდოების წინააღმდეგ მოძმე რუსი ხალხის რიგებშიც ღირსეულად იბრძოდა 1914-1917 წლებში გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. მაგრამ განსაკუთრებული თავდადება გამოიჩინა მან სწორედ დღევანდელ სამამულო ომში. ამ გმირობისა და მამაცობისათვის დღემდე საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 40-ზე მეტ კაცს, ხოლო ბევრი დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით.

ქართველ ხალხს დღეს ჰყავს 10-ზე მეტი სახელოვანი გენერალი და ასობით ოფიცრები, რომელნიც სტალინურ სტრატეგიაზე აღზრდილნი, უნარიანად ხელმძღვანელობენ ჯართა შენაერთებსა და ნაწილებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საკმაოდ ჰყავს სტალინურად აღზრდილ ოფიცერთა კადრები თავის ნაციონალურ საჯარისო ფორმირებათა შესაქმნელად და სახელმძღვანელოდ. ამიტომ, ვფსალმები რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ბრძნულ გადაწყვეტილებას მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალურ საჯარისო ფორმირებათა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, წინადადება შემომაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნას სათანადო დამატება თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი კავშირის რესპუბლიკები გაიზარდნენ, დაეკაკაცდნენ და განმტკიცდნენ არა მარტო სამხედრო და შინაგამართველობის საქმეში, ისინი დიდი გამოცდილებით შეიარაღდნენ აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში.

დაეკაკაცა და გაძლიერდა საბჭოთა საქართველოც, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

და თუ ახლა ჩვენს წინაშე დგას საკავშირო-რესპუბლიკური საგარეო საქმეთა დათავდაცვის სახალხო კომისარიატების შექმნის საკითხები, ეს სოციალიზმისა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ გამარჯვებათა და მიღწევათა შედეგია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს საკავშირო-რესპუბლიკური საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის კანონი. ეს არ არის ჩვეულებრივი ორგანიზაციის საკითხი.

„საქმე ორი სახალხო კომისარიატის ჩვეულებრივ გარდაქმნას როდი ეხება, — ამბობდა ამხანაგი მოლოტოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე, — საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე ახალი პასუხსაგები ამოცანები ისმება. დასმულია საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების ახალი ამოცანებისა და უფლებებისა ჯერ-ერთი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში და, მეორეც, უცხოეთის სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობის დარგში და ამასთან დაკავშირებით საკითხი დიფერენციალური „გარდაქმნებისა ჩვენს საკავშირო სახელმწიფოში".

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენობა დღემდე განაწილებული იყო იმ საკითხებად, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის მე-14 მუხლში. უკეთ რომ ვთქვათ, ეს იყო მოკავშირე რესპუბლიკების მიერ სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი უფლებათა ნებაყოფლობითი გადაცემა კავშირის მთავრობისათვის, იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების მიხედვით.

20 წლის წინათ, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები მხოლოდ ახლად იქმნებოდნენ, იბადებოდნენ კაპიტალისტურ გარემოცვაში, როდესაც თითეული მათგანს არ შესწევდა ძალა და უნარი უშუალოდ დაეცვა თავი ბრძოლასა და დიპლომატიურ ურთიერთობაში, როდესაც იმპერიალიზმი ჩაფიქრებულ გეგმაოდა, მაშინ დიდმა საბჭოთა რუსეთმა და შემდეგ საბჭოთა კავშირმა იკისრა, ჩვენიანი თხოვნით, ჩვენი ქვეყნების დაცვა საომარ და დიპლომატიური თავდასხმისაგან.

მაშინ საომარი და საგარეო საქმეთა საკავშირო გაერთიანება აუცილებლობას წარმოადგენდა და ნაკარნახევი იყო თვით პოლიტიკური სიბრძნით.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ახლა საბჭოთა კავშირში შეპყრალი ერები ყოველ მხრივ ძლიერნი არიან. ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკები დაეკაკაცდნენ, გაძლიერდნენ და შეუძლიათ საგარეო საქმესაც გაუძღვნენ.

ამავე დროს უნდა გავსაზოგადეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკები არც მოშორებულნი იქნებიან კავშირის მთავრობის მზრუნველობას მოკლებულნი. სწორედ ამიტომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი იზოლირებული, კავშირს სრულიად მოწყვეტილი კომისარიატი კი არ იქნება, არამედ საკავშირო-რესპუბლიკური, ე. ი. ერთა და ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკის და კავშირის მთავრობისადმი დაქვემდებარებული.

ეს კი საშუალებას მისცემს მას განახორციელოს მოკავშირე რესპუბლიკის სპეციფიკური ინტერესები, საერთაშორისო ურთიერთობაში სუვერენული უფლებები და ამავე დროს არ აცალოს საბჭოთა კავშირის მფარველობასა და მზრუნველობას.

სტალინური სიბრძნის ნაყოფია და ამ სიბრძნით აღსავსეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ.

ამიტომ შემოგიდგა წინადადებით, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სრულიად ახალი სახალხო კომისარიატის შექმნა და შეცვლილ იქნას ჩვენი კონსტიტუციის სათანადო მუხლები.

გაუმარჯოს ხალხთა ლენინურ-სტალინურ შეგობრობას!

გაუმარჯოს ძლეავმოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხ. სტალინს! (ტაში).

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ. სამამულო ომის მამაცმა მონაწილემ, გვარდიის ლეიტენანტმა გ. ტოროზოშვილმა განვლო გზა რიგითი მებრძოლიდან ოფიცრამდე და ამჟამად მეკავშირეთა ოცეულს მეთაურობს. საბრძოლო წარმატებებისათვის ამხ. ტოროზოშვილი დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის". სურათზე: გვარდიის ლეიტენანტი პ. სუხოდოლოვი დაჯილდოებას აძლევს გ. ტოროზოშვილს (მარჯვნივ).

ფოტო გ. ომელჩუკისა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ-ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ-ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

დეპუტატ ი. ი. ჯალახაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VII სესია მოწვეულია და მეძდინარეობს საბჭოთა კავშირის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან მომენტში, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმია გამანადგურებლად ურტყამს გერმანიის ფაშისტურ ურდოებს და მტრისაგან ათავისუფლებს წმიდათაწმიდა საბჭოთა მიწა-წყალს, როდესაც ჩვენს ქუჩაზე დღესასწაულია, ხოლო მტრისაზე გლოვის ზარი.

უსუსური გამოდგა უბადრუკი ეფრეიტორის კვეხნა საბჭოთა კავშირის ელვისებური განადგურების შესახებ. მისი „უძლეველი არმიები" ახლა თავზარდაცემული გარბიან დროებით დაპყრობილი ადგილებიდან.

ამ დიდ გამარჯვებათა წყაროა ჩვენი სოციალისტური წყობილება, სოციალისტური ეკონომიკა, ერთა ურყევი ძმური კავშირი, ლენინ-სტალინის უკვდავი იდეებით აღზრდილი საბჭოთა ხალხის ნებისყოფა, რომელსაც წარმართავს დიდი სტალინის გენია.

სტალინის გენიამ გამოსვეიდა ჩვენი ქვეყნის ძლიერება და საბჭოთა ხალხს დაუმტკიცდა საომარი ცხოვრება. სტალინის გენიამ შეიქმნა დიადი სოციალისტური კონსტიტუცია, რომელსაც ხალხმა ღირსეულად უწოდა სტალინური კონსტიტუცია.

ეს კონსტიტუცია კაცობრიობის მოწინავე ადამიანების მრავალსაუკუნოვანი ოცნების განხორციელებაა, ხალხთა ძმობისა და დემოკრატიის განვითარების უმაღლესი მწვერვალია. იგი ჩაგრულ ერებსა და ქვეყნებს განთავისუფლების დიდ გზას უნათებს, აღფრთოვანებს მათ ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დღეგანდელი სესია, მისი დღის წესრიგი სწორედ ამ კონსტიტუციის განვითარების შედეგია.

სტალინური კონსტიტუციის სიდიადიდან გამომდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის მიერ დაკანონებული მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა გაფართოება-გაღრმავება.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებებს დიდი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ისინი წარმოადგენენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას.

დიდი სტალინი სსრ კავშირის საბჭოების მერვე ყრილობაზე თავის ისტორიულ მოხსენებაში ამბობდა:

„არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციათა შორის ჩხუბის ძალით ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში დგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დაძნეზებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტორმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ,— ყოველივე ამან და მსგავსმა ფაქტორებმა მოგვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაჭრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, ბოლოთარდა მათში ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამრიგად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანაშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალსოვნენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც ყოველგვარ ვანაკაცდელს გაუძღო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში".

ჩვენი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი ერთა ურყევი მეგობრობისა და გულითადი ძმობის ციხეა. საბჭოთა ხალხები თავდადებითა და გმირულად იცავენ სოციალისტურ სამშობლოს პირსისხლიანი ფაშიზმისაგან.

მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლისა და სხვა ქალაქების სახელოვან გმირულ დაცვაში საბჭოთა კავშირის მოძმე ერთა შვილებთან ერთად თავი გამოიჩინეს ქართველი ხალხის შვილებმა.

დიდი სტალინის თანამებრძოლის ამბანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის დაცვის საქმეში კავკასიონის ეროვნულ ტეხილებზე თავი ისახელეს სამხედრო შენაერთებმა, რომელთა შემადგენლობაშიც იბრძოდნენ უკრაინელი, ციმბირელი, შიდა რუსეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის და სხვა მოძმე ერთა შვილები.

უკრაინისა და ბელორუსიის სრული განთავისუფლებისათვის ღირსეულად იბრძვიან ყველა მოძმე ერთა შვილები, მათ შორის ქართველები.

„საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რადგან მათ ახლანდელი სამამულო ომი საძართლიანად მიიჩნიეთ ყველა შრომელის საერთო საქმედ განურჩეველად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ, ᲠᲐ ᲣᲐᲚᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲘᲗᲐᲜ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲗᲘᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐᲜᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲛ ᲝᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲢᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲥᲐᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ".

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲡᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ა. ა. ანდრეევმა წინადადება მისცა რესპუბლიკების მიწათმოქმედების, მხარეებისა და ოლქების მიწათმოქმედების განყოფილებებს დახმარება აღმოეჩინონ პროფკავშირულ ორგანიზაციებს ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნების სათესი ფართობის გაფართოებაში. საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს საბოსტნეებად მისცენ თავისუფალი მიწები სახელმწიფო მიწის ფონდიდან. გარდა ამისა, კოლმეურნეობებთან შეთანხმებით ბოსტნებისათვის შეიძლება გაიცეს კოლმეურნეობათა მიერ გამოუყენებელი მიწები. დასახლებულ პუნქტებთან ახლოს მდებარე საუკეთესო მიწის ნაკვეთები გამოყოფილ უნდა იქნას, პირველ რიგში, სამხედრო მოსამსახურეთა და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებისათვის. მუშათა და მოსამსახურეთათვის საბოსტნე მიწების მიცემა უნდა დამთავრდეს 1 აპრილისათვის.

სსრ კავშირის მიწსახკომმა დაავალა სამიწათმოქმედო ორგანოებს, სასწავლო და საშენაერო დაწესებულებებს აგროტექნიკური დახმარება გაუწ